საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 395 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის შესახებ“ ჩარჩო ხელშეკრულების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2018 წლის 22 მარტს ხელმოწერილი „საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის შესახებ“ ჩარჩო ხელშეკრულება.

მუხლი 2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ჩარჩო ხელშეკრულების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს ბელარუსის რესპუბლიკის მხარეს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ჩარჩო ხელშეკრულების ძალაში

შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**